



საქმე №-1გ/1668



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

26 ოქტომბერი 2015 წელი

12⁰⁰სთ

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე
სპარტაკ პავლიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა კახეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის ელისო ტურაშვილის საჩივარი თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებაზე, ზ. კ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

2015 წლის 16 ოქტომბერს თელავის რაიონულმა სასამართლომ წინასასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმის ზ. კ.-ს მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით ბრალდების მხარის შუამდგომლობა, სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გადაცემის თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა: ზ. კ.-ს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა კახეთის საოლქო პროკურატურამ და მოითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინების გაუქმება მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის ნაწილში.

საჩივარში ბრალდების მხარე აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას საფუძვლად დაედო შემდეგი გარემოებები: ზ. კ.-ს მიმართ ბრალდების წარდგენის დროს გასული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გამამტყუნებელი



განაჩენის ხანდაზმულობის ვადა, ბრალდების წარდგენის მომენტისათვის, ანუ 2015 წლის 25 სექტემბერს ზ. კ. არათუ ნასამართლევი, საერთოდ განთავისუფლებული იყო გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან. აღნიშნული გადაწყვეტილება უსაფუძვლოა, არასამართლიანია და არ გამომდინარეობს სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობიდან. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა-სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ. კონკრეტულ საქმეზე ჩატარებული გამოძიებით უტყუარად არის დადგენილი, რომ ზ. კ.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის განაჩენით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი ჯარიმის სახით 1000 ლარის ოდენობით, რაც დღემდე არ გადაუხდია. საქმეში არსებული თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 19 აგვისტოს წერილის თანახმად, ბიუროს წარმოებაში აქვს სააღსრულებო ფურცელი N1/2290-13. ვინაიდან მოვალეს არ შეუსრულებია მასზე დაკისრებული მოვალეობა და აღსრულების ბიუროში არ წარუდგენია ჯარიმის გადახდის ქვითარი, ზ. კ. რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში და მის მიმართ მიმდინარეობს იძულებითი სააღსრულებო წარმოება ჯარიმის თანხის აღსრულების უზრუნველსაყოფად. გამოძიებას გააჩნია წერილი პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ შეწყალების აქტებში ზ. კ. არ იძებნება. ამ გარემოების გათვალისწინებით ზ. კ. ნასამართლევა. მას ბრალის წარდგენამდეც რომ გადაეხადა ჯარიმის თანხა მაინც ჩაითვლებოდა ნასამართლევ პირად, ვინაიდან გაქარწყლების ვადა აითვლებოდა ჯარიმის გადახდიდან ერთი წლის ვადაში. აქედან გამომდინარე თელავის რაიონული სასამართლოს ზემოთხსენებულ განჩინებაში მითითებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ზ. კ.-ს მიმართ ბრალის წარდგენის დროს გასული იყო საქართველოს სსკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდისგან პირის განთავისუფლების ორწლიანი ვადა, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. (ვრცლად იხ. საჩივარი)

საქართველოს სსკ-ის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილებაზე საჩივარს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ერთჯერადად განიხილავს ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების, ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და არ არსებობს მისი ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.



თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ განიხილა საჩივარი, წარმოდგენილი საქმის მასალები, წინასასამართლო სხდომის ოქმი და მიაჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თელავის რაიონული სასამართლოს განჩინებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ზ. კ.-სათვის ბრალის წარდგენისას გასული იყო წინა განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, რის გამოც იგი ითვლებოდა ნასამართლობის არმქონედ სახეზე არ იყო პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული მაკვალიფიცირებელი გარემოება-საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლობა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2013 წლის 19 ივნისს ზ. კ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 08 ოქტომბრის წერილის თანახმად თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის განაჩენის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი N1/2290-13, რომლის თანახმადაც ზ. კ.-ს დაეკისრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი მიღებულია წარმოებაში და დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს იძულებითი აღსრულება.

2015 წლის 25 სექტემბერს ზ. კ.-ს წარედგინა ბრალდება ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის, ასეთი ქმედებისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

საქართველოს სსკ-ის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად თანახმად მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში: ა) ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ როდესაც საქმე გვაქვს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეფარდებულ არასაპატიმრო სასჯელთან - ჯარიმასთან, გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის ამგვარად შეფასება, როგორც აღწერილია გასაჩივრებულ განჩინებაში არ შეიძლება. გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულებლობა ხანდაზმულობის გასვლასთან მიმართებაში ყოველთვის უკავშირდება სასამართლოს ან საგამომიებო ორგანოების მიერ საკუთარი მოვალეობების არაჯეროვან



შესრულებას, შესაბამისად ჩვენს შემთხვევაში აუცილებლად უნდა შეფასდეს სასამართლოს მოქმედება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

საქართველოს სსკ-ის 280-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი სახდელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად იწერება სააღსრულებო ფურცელი.

იმ შემთხვევაში თუ სასამართლო თავის წილად არ აღსრულებდა განაჩენს რა თქმა უნდა სახეზე იქნებოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში დადგენილია, რომ გაცემული შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი, სააღსრულებო ბიურომ წარმოებაში მიიღო 2013 წლის 15 ივლისს ე.ი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე, განაჩენის გამოტანიდან ერთი თვის ვადაში, ამდენად განაჩენი სასამართლოს მიერ აღსრულებულია და აღსრულების დამთავრებას - შესაბამისი თანხის ჯარიმის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას, ხანდაზმულობის მიზნებისათვის აღარ აქვს მნიშვნელობა. ამ შეფასებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ თვით სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი განაჩენით დანიშნული ჯარიმის აღსრულების ხანდაზმულობის ვადებს განსხვავებულად არეგულირებს ვიდრე, ყველა სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად აღ-სრუ-ლე-ბა შეწყ-დე-ბა, თუ: თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 10 წელი, გარდა ალიმენტის გადახდევინების შესახებ, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებისა, აგრეთვე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ წარმოებული სააღსრულებო საქმეებისა;

ამ მუხლის სამართლებრივი ანალიზიდან ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 10 წელს, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ წარმოებული საქმეებისა. გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელი -ჯარიმა გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ კატეგორიის აღსრულებაზე ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებს, შესაბამისად არ მოქმედებს ხანდაზმულობა ზ. კ.-ს მიმართ აღსრულებაზეც.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის სხვა სახის სასჯელით შეცვლის სავალდებულობის შესახებ, თბილისის სააპელაციო სასამართლო მიუთითებს იგივე სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 34-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც ჯარიმის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდევინების წარმოებას ხანდაზმულობის ვადები არ გააჩნია, თან



სააღსრულებო ბიურო არ ხელმძღვანელობს საკუთარ საქმიანობაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, რაც ნიშნავს იმას, რომ მას არ შეუძლია მოითხოვოს დანიშნული სასჯელის სხვა სახის სასჯელით შეცვლა, ამიტომ აქ არანაირ კანონდარღვევას ადგილი არ აქვს.

საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ნასამართლობა ქარწყდება თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

მსჯავრდებულ ზ. კ.-ს დღეის მდგომარეობით სასჯელი არ მოუხდია, მას არ გადაუხდია მისთვის სასჯელის სახით განსაზღვრული ჯარიმა, ამიტომ ნასამართლობა არ აქვს გაქარწყლებული და ითვლება ნასამართლევად ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის.

ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა გაუქმდეს 2015 წლის 16 ოქტომბრის თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მამუკა წიკლაურის განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, მე-9, მე-20, 72-ე, 83-ე, 97-98-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. პროკურორის საჩივარი დაკმაყოფილდეს :

2. გაუქმდეს 2015 წლის 16 ოქტომბრის თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მამუკა წიკლაურის განჩინება ზ. კ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, ზ. კ.-ს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე.

3. საქმე დაუბრუნდეს თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი საკითხების გადასაწყვეტად.

4. განჩინება გადაეცეს გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს და მხარეებს

5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



მოსამართლე

სპარტაკ პავლიაშვილი